საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004655

„ 1 “ მაისი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭეუნყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიდარანის I შეს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ლევთშვილი" (ს/ს 400290608)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[redacted] დიმიტროვი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

[redacted] სსიპ გარემოს ეროვნული საგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაფორმული გარემოსდაცვითი გადაუვადიერება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004655 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004655 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა ±)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 მუხლის ჭანჭვნის პირველი ნაწილის, ნახერხების მოხვის კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის, 47-ე მუხლის პირველი ნაწილის, 42-ე მუხლის და 43-ე მუხლის მ-2 ნაწილის წესებით.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გუგამისდელეგილი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მაკვანი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოტოლოტი

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტოლოტი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 1 მაისის №004655 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2025 წლის 5 აგვისტოს, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში განთავსებული, შპს „ლეგომეტალი"-ს (ს/კ 400290608) ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანების **მე-8 პუნქტის** მოთხოვნის შესრულების მიზნით, კომპანიას შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან არ აქვს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

2. კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია/კორესპონდენცია გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის თაობაზე;

3. 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანების **მე-6 პუნქტის** მოთხოვნის თანახმად, შპს „ლეგომეტალი" **არ უზრუნველყოფს** გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრას „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად. დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, გაფრქვევის წყარო(ებ)ზე **არ აქვს დამონტაჟებული/განთავსებული, უწყვეტი მონიტორინგის ხელსაწყო/სინჯის ამღები.**

გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 8 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76^1 მუხლის პირველი ნაწილის, 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლის და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ლეგომეტალი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №096202 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 25 ოქტომბრის №4-425-25 დადგენილებით, შპს „ლეგომეტალი" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით და 76^1 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლით და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით

გათვალისწინებულ ქმედებაში და სახელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით.

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს 2025 წლის 25 ოქტომბრის №4-425-25 დადგენილება კომპანიის მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2026 წლის 16 მარტის №4/ა-242-26 დადგენილებით, არ დააკმაყოფილა შპს „ლეგომეტალი“ - ს საჩივარი და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №4-425-25 გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლეგომეტალი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 1 აპრილის №004655 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 1 მაისის №004655 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ლეგომეტალი “**ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში** უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად, **ამავე ვადაში** უზრუნველოს გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრა და მისი ვინაობის შესახებ ინფორმაცია (კერძოდ, გარემოსდაცვითი მმართველის სახელი და გვარი) წარუდგინოს სააგენტოს. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების შემდგომ, ნარჩენების მართვა **მუდმივად** განახორციელოს შეთანხმებული გეგმის, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან საწარმოს ფუნქციონირების პროცესში** უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად (2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი **გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი).**